რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ნიკოლოზ ფარნაოზის ძე და ოლღა ზაქარიას ასული ქარახანოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—საყვარელის დედისა თვისისა, ხოლო მეორე—დედამთილისა

ეფემია პეტრეს ასულის კარახანოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ საკუთარს სახლში, პატარა ორბელიანის ქუჩაზე, შაბათს, 15 მარტს, დილის 10 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ სამების ეკლესიაში. პანაშვიდი გადახდილი იქმნება პარასკევს, საღამოს 7 საათზე. (2—1).

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია ახალი სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—48)

Изданія Владимира Бонгъ Друевича

Продаются во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы, Петербурга и другихъ большихъ городовъ:

1. **Карль Марксъ.** *Критика нѣкоторыхъ положеній политической экономіи.* Переводъ П. Румянцева подъ редакціей А. Мануилова, изд. 2-ое, цѣна, безъ пересылки, **1 руб.**

2. **Людвигъ Гумпловичъ.** *Соціологія и Политика*, переводъ С. Прокоповича, цѣна, безъ перес., **50 коп.**

3. **Павелъ Кампфмейеръ.** *Изъ нѣмецкой деревни* (экономическій очеркъ) перев. М. Толмачевой, цѣна, безъ перес. **15 коп.**

(6—2)

პანცერი და გლუხოვსკი
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
საკერავი მაშინებისა
ნამდვილის **ზინგერ ნაუმანისა** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა.
(15—3).

სათავად-აზნაურო მამულში (ქარვასლაში)
ქირით იძლევა
მშვენიერი, სუფთა, სინათლიანი და ყოველ მხრივ მოხერხებული სადგომები
სავაჭრო მაღაზიებისა და საალებ-მიცემო კონტორებისათვის
(თითო, ორ-ორი და სამ-სამი თვლები)

Въ имѣніи Грузинскаго Дворянства
Отдаются въ наймы
Свѣтлыя, чистыя и весьма удобныя помѣщенія
подъ конторы, магазины и склады.
Справляться ежедневно въ конторѣ по управленію имѣніемъ Дворянства Тифлисъ, Дворцовая. (30—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

ვექილი
გ. ბ. გვაზავა
ასრულებს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.
(40—31)

გამოვიდა და იყიდება
შილერის 3 მოქმედებიანი დრამა
ბრძოლაში
თარგმანი იგ. მაჭავარიანის მიერ
ფასი ექვსი შაური.
(10—2)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“)

12 მარტი.

ბერლინი. 2000-მა სტუდენტმა მაშხალებით სეირნობა გამართეს. სასახლესთან რომ მივიდნენ, იმპერატორმა სტუდენტებისაგან მიიღო დეპუტაცია, რომელმაც განუცხადა მას გრძნობანი ერთგულ ქვეშევრდომობისა.

ბერლინი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ბერლინიდგან წაბძანდა. იმპერატორმა მისი უმაღლესობა რკინის გზის სადგურამდე მიაცილა.

სტამბოლი. დარდანელში, ლიპსაკთან მდგომ სამხედრო გემებს ხმელთა-შუა ზღვაში წასვლა ებრძანათ.

კანეია. ადმირალებმა გამოსცეს ახალი პროკლამაცია, რომელიც ურჩევს აჯანყებულთ და საბერძნეთის ჯარებს, მოერიდეთ თავს დაცემას ოსმალეთის ნავთ-სადგურებზედ, რადგანაც დაცულ იქმნას წესიერება იქ, სადაც უცხო სახელმწიფოთა ჯარები გადმოსახლდნენო.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ დილით ჩვენს რედაქციაში მოვიდა ათი კაცი და შემოგვჩივლეს შემდეგი: აგერ სამოცი წელიწადია, რაც დავსახლდით თავადი ბარათაშვილის მიწაზე, რომელიც მდებარეობს ვერის უბანში, იქ სადაც ჯვარია ვიდრე სასაფლაომდე, ავაშენეთ სახლები, დავბინავდით, ზოგმა საბუთებიც იშოვნა, მაგრამ უმეტესობას ქართველურ დაუდევრობით არაფერი საბუთი არ აქვს და არც უფიქრნიათ ამაზე. ამ ჟამად ოთხმოც კომლამდე მოხელენი ვართ და კიდეც ვიხდით ქალაქის ხარჯსაო. ეს მესამე წელიწადია, რაც დავა დაგვიწყეს თამამშევის სახელით ვიღაც მელვინოვმა და პატრიანცმაო და სულ ერთიანად დაგვაწიოკეს და აგვანიავესო. ამ დღეებში ერთს ჩვენთაგანს გაუყიდეს სახლი და 80 წ. მოხუცს და ავადმყოფს დედა კაცს უკანასკნელი ფარდაგი გამოაცალეს და ისე დასტოვეს ფიცრული ლოგინის ანაბარა ქუჩაზეო. საზოგადოდ ისეთ მდგომარეობაში ვართ, ისეთი გამწარება გვადგია, რომ ლამის სულ ერთიანად მტკვარში გადავვარდეთ ჩვენის წვრილ-შვილებით. ჩვენ მუშა და ხელოსანი ხალხი ვართ, ვერ ვიცლით საჩივლელად და სადავიდარაბოთ, რადგან ყველანი ლუკმა-პურის მნატვრელები ვართო და სხვა.

მივაქცევთ რა ამ გარემოებაზე ჩვენი საზოგადოების ყურადღებას, იმედი გვაქვს, ჩვენი ხალხის გულშემატკივარნი გამოიკვლევენ ამ საქმეს და მით დაიფარავენ ამოდენა ხალხს იმ წურბელა მოვახშეთაგან, რომელნიც დღე-დღეზე უფრო გათამამებული მიწა წყალს გვაცლიან ხელიდგან. მომჩივარნი სულ ერთიანად ქართველები არიან.

⁂ **უგანათლებულესი სამეგრელოს თავადი ანდრია დადიანი** ამ ჟამად ტფილისში ბრძანდება.

⁂ **დავით ყიფიანის გადაყვანა ფოთში.** ქუთაისის სასამართლო განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე ბ-ნი დავით ყიფიანი გადაყვანილ იქმნა ფოთის სასამართლო განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ.

⁂ **ქაღალდის ფული ოქროს მაგიერ.** უმაღლესად ნება-დართულია კავკასიის საბაჟოებში, დროებით, ოქროს ფულის მაგიერ ქაღალდის ფული გადაახდევინონ ბაჟად.

⁂ **ბ-ნ უსპენსკის საკასაციო საჩივარი.** ჩვენ შევიტყეთ, რომ „ახალმიმოხილვის“ რედაქტორად ნამყოფის ბ-ნ უსპენსკის საკასაციო საჩივარი ბ-ნ კ. პლიუშჩევსკის წინააღმდეგ, რომელიც უსპენსკის დიფამაციის ბრალსა სდებდა, უმართებულესს სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია.

⁂ **ახალი თხზულება გ. გვაზავასი.** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „ჯაბა ჯაიანი“, მოთხრობა ლექსად გ. გვაზავასი. წიგნი შეიცავს 82 გვერდს, დასტამბულია სუფთად ექვ. ხელაძის სტამბაში და ღირს 25 კაპ.

⁂ **წერილი ქართველთა დრუჟინის შესახებ.** გაზეთ „კავკაზის“ გუშინდელს ნომერში დასტამბულია ფელეტონი ისტორიკოსის პოტტოსი, შემდეგის სათაურით: „ქართველთა დრუჟინა ჩოლოქზე“. პატივცემული ისტორიკოსი თვისს წერილს უძღვნის აწ განსვენებულის სახელოვან მეომარის თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის ხსოვნას.

⁂ **კალიის გასაწყვეტად გადადებული ფული.** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა აცნობა მთავარ-მართებლის კანცელარიას, რომ იმ 13,000 მანათიდან, რომელიც საგუბერნიო მთავრობამ ჩაიბარა კალიის გასაწყვეტად ტფილისის გუბერნიაში, წარსულ წელიწადს სიღნაღის მაზრის უფროსს ათასი მანათი მიეცით. ამ ფულიდან დაუხარჯავს 640 მან. და 23 კ. ბენზინის სასყიდლად და 115 მ. და 8 კ. ბიზისა და სხვა საჭირო მასალის სასყიდლადო.

⁂ **სოხუმიდამ საკალათე ტირიფის გაგზავნა.** სოხუმის საბაღოსნო და სამეურნეო საცდელ სადგურის გამგეს ბ-ნს ტატარინოვს ქალ. ახალ-ქალაქში საბეგრო ინსპექტორ ბ-ნ გუკასიანცისათვის გაუგზავნია რამდენიმე რქა საკალათე ტირიფისა ადგილობრივ მკვიდრთა შორის გასავრცელებლად. რამდენად ჩვენ ვიცით, ეს სასარგებლო მცენარე სოხუმის ოლქში მარტო ხსენებულს სადგურში მოიპოვება და ნორმალურ სასწავლებლის განყოფილებაში სოფ. ალექსანდროვსკოს, რომლისთვის ამ სასწავლებლის ზედამხედველს, ბ-ნს ვას. ადამიანს შეუძენია ერთის გერმანელისაგან. კარგს ინებებს, ბ-ნი ტატარინოვი ადგილობრივაც გაავრცელებდეს ამ მცენარეს მით უფრო, რომ სოხუმის ოლქის ნიადაგი და ჰავა ძალიან ხელს უწყობს მის გავრცელებას.

⁂ **ამერიკანულ ვაზების დარიგება.** წელს საჩქოლედგან (შორაპნის მაზრაში) ქუთაისის მემამულეთ ბევრი დაურიგდათ ამერიკანული ვაზები. კავკასიაში სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მოადგილეს განკარგულებით ამ გუბერნიაში იგზავნებიან კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტები: ფირალოვი, როლლოვი და სტაროსელსკი და ექსპერტების თანაშემწენი: თ. ერმ. ნაკაშიძე და კანდურალოვი. ამათ უნდა ასწავლონ მემამულეთ, როგორ მოუარონ ამერიკანულ ვაზსა და რა გვარად შეიმუშაონ ნიადაგი მის გასაშენებლად. გარდა ამისა, ბ. როლლოვმა უნდა მოაგროვოს ცნობები შესახებ ზოგიერთ მცენარეთა გაშენებისა სოხუმის და ართვინის ოლქებში.

⁂ **წრეს გადასული სახარბე** მოგეხსენებათ, რომ კაი ხანია, რაც წერა-კითხვის საზოგადოების ხელში გადავიდა „დედა ენის“ გამოცემა. თანახმად ჩემის წინადადებისა, გამგეობამ წესად მიიღო ეს წიგნი უყდოთ აღარა ჰყიდოს და ყველა გამოცემა მთლად დააკაზმინოს ხოლმე. ეს დადგენილობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ უყდო წიგნს ბავშვი რამდენსამე დღეს ახდენს, ჰხევს და მალე სჭირდება მეორედ და მესამედ მისი ყიდვა. სწორედ ამის გამო ინგლისში და სხვაგან, ევროპაში, ვერა ნახავთ ვერც ერთს სახელმძღვანელოს, რაც უნდა პატარა იყოს იგი, რომ ყდაში არ იყოს ჩასმული.

თვითო ყდიანს „დედა-ენას“ საზოგადოების მაღაზია ჰყიდის ორ აბაზად ადგილობრივ და გარეშეც, სადაც-კი წიგნების საწყობი აქვს. რათა სხვა მოვაჭრეებსაც შეძლება ჰქონდეთ იმავე ფასად აძლიონ წიგნი თავიანთ მუშტარსა, საზოგადოება უთმობს მათ წიგნზე რვა კაპეიკსა და აძლევს 32 კაპეიკად. თვითონ საზოგადოებას თითო წიგნი უჯდება დაბეჭდვით, ავტორის გონორარით და ყდით ხუთ შაურად. მაშასადამე, წიგნში იგებს 7 კაპეიკსა. ამაზე ნაკლები გამორჩენა არც გარეშე მაღაზიებს უნდა ჰქონდეთ. „დედა-ენიდან“, თუ სახეში მივიღებთ, რომ გაგზავნა თითო წიგნისა უჯდებათ ერთს კაპეიკზე ნაკლებ, ასე რომ მათი მოგება შეადგენს თითქმის 20% და ეს საკმარისი გამორჩენაა. მაგრამ თუ მკითხველი იფიქრებს, რომ გარეშე მაღაზიები თითო 32 კაპეიკს «დედა-ენაში» აგებინებენ მხოლოდ შვიდს კაპეიკს წელიწადში, ძლიერ შემცდარი იქნება. რადგან ეს წიგნი იყიდება ბლომად და სწრაფად, ამიტომ ყოველი წიგნის მაღაზია „დედა-ენას“ იბარებს ორ თვეში ერთხელ, ანუ წელიწადში ხუთჯერ მაინცა. მაშასადამე, იგი თავისს თანხას ატრიალებს ხუთჯერ და თვითო 32 კაპეიკს აგებინებს ხუთჯერ შვიდს კაპეიკსა, ანუ 35 კაპეიკსა. სხვა სიტყვით რომა ვსთქვათ, თითო მანათიდან მათ აქვთ წელიწადში მანათზე მეტი გამორჩენა. ხომ დიდი მოგება გახლავთ? ყველა სავაჭრო რომ ამოდენა მოგებას აძლევდეს კაცს, ქვეყანა მილიონერებით აივსებოდა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ზოგს მაღაზიის სიხარბე იქამდის მიდის, თურმე, რომ ამ ზორბა მოგებასაც არა სჯერდება და დამშეულებულის სინიდისით „დედა-ენაში“ ართმევს მყიდველებს არა კანონიერს ორ აბაზს, არამედ ცხრა შაურს. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ ესა, გამოვა, რომ 32 კაპეიკი ამ შემთხვევაში იგებს ხუთჯერ 13 კაპეიკსა, ანუ მანათი ორს სრულს მანათსა. გაგონილა ამოდენა სიხარბე? ეს მიუტევებელი და სამარცხვინო საქციელია და იგი არ უნდა იკადროს უკანასკნელმა უვიცმა ვაჭარმაც, არამც თუ წიგნების გამყიდველმა, რომელიც ჩვეულებრივად მეტ-ნაკლებობით ნასწავლია და განვითარებული.

ასეთს ძვირად გაყიდვას „დედა-ენისას“, თურმე, იმითი ამართლებენ, რომ ბევრი სხვა წიგნები სრულიად არ გვეყიდება, ტყუილად გვიყრია რამდენსამე წელიწადს მაღაზიაში და არამც თუ სარგებელს, თავნსაც ვერ ვიღებთო. საოცარი თავის გამართლებაა! ვაგლა-და „დედა-ენისა“ რა ბრალია, შენ რომ უსარგებლო და გამოუსადეგარი წიგნებით აავსო მაღაზია!

ვაცხადებ-რა ამას, ვთხოვ ყველა წიგნის მაღაზიის პატრონს, ამიერიდგან „დედა-ენა“ ჰყიდოს დადებულ ფასად, არა უმეტეს ორი აბაზისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებულ ვიქნები წერა-კითხვის გამგეობაში შევიტანო წინადადება, რომ მან აღარ გაუგზავნოს ძვირად გამყიდველებს ჩემი წიგნი და თავისი საკუთარი საწყობები გამართოს იმ ადგილებში, სადაც ხსენებული სიხარბე თავს იჩენს.

იაკობ გოგებაშვილი.

⁂ **დ. ლანჩხუთი.** ჩვენს დაბაში ამ ჟამად ხუთი-ექვსი ფარდულია აბრეშუმის ჭიის პარკების სახმობ-სახარშავი. ეს ფარდულები გააკეთეს აქ მეაბრეშუმე სომხებმა, რომელთაც ეშინოდათ დაბაზე მოშორებით დგომისა. ეს ფარდულები შიგ დაბაშია, სადაც 200-მდე დუქანია, ეკკლესია, სადაც ორი სასწავლებელი და 1000 მცხოვრები ითვლება. ზაფხულობით, როცა აბრეშუმის ჭიის პარკის ხარშვასა და ხმარებას დაიწყებენ ამ ფარდულებში, ისეთი სუნი დატრიალდება მთელს დაბაში, რომ დაბადების დღეს იწყევლიან მკვიდრნი. აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ, აქ ყოველ წლობით გროვდება 10,000 ფუთამდე ნედლი პარკი. ეს პარკი ჯერ ორთქლით იხარშება. ათი ათას ფუთ ნედლ პარკიდან ორის თვის შემდეგ გამოდის სამი ათასი ფუთი. ხოლო 7 ათას ფუთ. დამხრჩვალ ჭიის სუნი ადგილობრივ მკვიდრთ უნდა იყნოსონ! ბულვარსა და ქალაქებში ამ დროს გავლა ყოვლად შეძლებელია.

ამაზე წინად მაზრის უფროსმა ბ-ნ ალშიბაიამ და ექიმებმა დაათვალიერეს ეს ფარდულები და საჭიროდ სცნეს მათი აქედან გადატანინება ერთის ვერსის მანძილზედა. ბ-ნმა მაზრის უფროსმა უკვე მოახდინა სათანადო განკარგულება ამ საქმის თაობაზე და, იმედი გვაქვს, მალეც იქმნება მოყვანილი სისრულეში ეს საჭირო განკარგულება, რადგან აბრეშუმის ჭიის პარკის ყიდვის დროც მოახლოვებულია.

⁂ **სოფ. აბაშა. უვარგისი თესლი აბრეშუმის ჭიისა.** ჩვენს დაბაში, ეს უკანასკნელი ხანია, ადგილობრივმა ვაჭრებმა ბლომად მოიტანეს აბრეშუმის ჭიის თესლი სოფლებზე გასასაღებლად. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ზოგი თესლი, როგორც ტფილისის საბრეშუმო სადგურს შეუმოწმებია, ცუდის ღირსების გამომდგარა, სენიანი. მაგალითად აქ, სხვათა შორის, მოიტანეს „პერტეს და ამხ.“ ფირმისაგან შემზადებული თესლი აბრეშუმის ჭიისა, რომელშიაც, როგორც ნამდვილად გავიგეთ, 54% ავადმყოფი და სახმარად გამოუსადეგარი გამომდგარა. კარგი იქმნება, ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და დროისით განდევნოს ბაზრიდან ასეთის უვარგისის საქონლით მოვაჭრენი, რომ მთელი მხარე ზარალში არ შევიდეს.

⁂ **ქ. სოხუმი. ოლქის სასამართლოს სესსია.** 17 მარტისათვის აქ უნდა ჩამოვიდეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია.

⁂ **ქ. სოხუმი. უპასპორტოების გაგზავნა.** სოხუმის ოლქიდგან 10 მარტს 30 უპასპორტო კაცი გაისტუმრეს ოსმალოს ქვეშევრდომნი გემით ბათომში.

⁂ **დ. ახალ-სენაკი. ცეცხლის გაჩენა.** როგორც „ივერიასა“ სწერენ ახალსენაკიდან, აქაურს მცხოვრებს კოსტა ცავას სამზარეულოს ცეცხლი გაჩენია. ცეცხლი სახლზე გადასულა და დამწვარა როგორც, სახლი, ისე სახლის ავეჯიცა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ბავშვს შესცივნია, ცეცხლის ანთებას დომებია, მაგრამ, რადგან დაზარებია ნაკვერჩხლის შებერვა, ზედ ნავთი დაუსხამს. ალი ზევით ავარდნილა და სახლის სახურავს მესდებია. დაწყნარებული ამინდი ყოფილა, თორემ ქალაქსაც დააზარალებდა ცეცხლიო.

მეურნეთა საყურადღებოდ

ბოსტნეულობით ვაჭრობა ევროპაში და მნიშვნელობა-სარგებლობა ბაღოსნობისა.

ინგლისის მეცნიერი ლორდ-ბეკონი ამბობს, რომ „ბაღოსნობა ერთი საუკეთესო სასიამოვნო ცოდნაა კაცობრიობაშიო“ და, მართლაც, შეგვიძლიან დავასახელოთ მრავალი შესანიშნავი კაცები, რომელნიც დიდის სიყვარულით და ტრფიალებით ეკიდებოდნენ ბაღოსნობას. ბაღოსნობა დედაა მიწათ-მოქმედებისა და ხვნა-თესვისა და სარწმუნოებაც გვასწავლის, რომ მისი დასაწყისი ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობისა;— ღმერთმა თითონ გააშენა მშვენიერი ედემის ბაღი აღმოსავლეთით და პირველს კაცს ჩააბარა, რათა ესარგებლნა მითი და შეემუშავებინა.

ბაღოსნობის სარგებლობა ძალიან დიდია; მას მეურნეობაში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც სარგებლობით მას ვერაფერი აჯობებს. გონიერის მოვლა-ყურის-გდებით ერთი ბეწვა მიწის ნაჭრით ანუ რამდენისამე ხის ძირით კაცი იმდენს სარგებლობას მოიტანს, რასაც ორი დღის მიწა ვერ მისცემს მას. აქედან აშკარაა, რომ ბაღოსნობა მეტად სასარგებლოა მცირე მემამულეთათვის.

მრავალი საბოსტნე მცენარეები ისეთს მაძღარს და მასაზრდოვებელს საჭმელს შეადგენენ კაცისთვის, რომ ბევრით სჯობნიან ხორცეულს; მაგალითებრ: მუხუდო, ცერცვი, ოსპი. მეორეს მხრით, ძალიან სასარგებლონი არიან მით, რომ კაცის საჭმელი მრავალგვარდება, იცვლება და ამ რიგად გვენატება საჭირო ძალა. რომლისაც კაცს დიდხანს მსუქანი რამ არ უჭამია, ბევრი პური უნდა შესჭამოს, რომ გაძღეს, იმავ დროს-კი ცოტაოდენს კარაქს შეუძლიან ადვილად მოუკლას შიმშილი. ამისათვის საჭმლის ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეტად საინტერესოა ჩაუკვირდეს კაცი ცივს ჩრდილოეთის ხალხთა ცხოვრებას, სადაც მიწას პურის მოსავალი არ მოჰყავს; ან იმ ხალხისას, რომელიც მიყრუებით სცხოვრობს და შემთხვევა არა ჰქონდა სხვა ხალხთაგან გადაეღო ბოსტნეულობის შემუშავება. ეს ხალხნი ყოვლის ღონისძიებით სცდილობენ, რომ განასხვაფერონ თავიანთი სუფრა. ესკიმისები, რომელნიც ჩრდილოეთს ამერიკაში სცხოვრობენ, იძულებულნი არიან მარტო ხორცით და თევზით ირჩინონ თავი, მაგრამ ძალიან შეწუხებულნი არიან ამითი და გაფაციცებით ეძებენ ყოველგან მკაუნსა და სხვა მის გვარ მცენარეებს. ციმბირში ჩრდილო-აღმოსავლეთით სცხოვრობენ ჩუკჩები. მოკლე ზაფხულში ისინი ყოვლის ღონისძიებით აგროვებენ ყოველნაირ მწვანილეულობას და ზამთრისთვის ინახავენ; ხან კი საქმე იქამდისაც მივა ხოლმე, რომ მწვანილის სიცოტავის გამო ხის ფოთოლს სდებენ ხოლმე მწნილად ზამთრისთვის, ისე, როგორც ჩვენში კომბოსტოს. ამას გარდა, ავსტრალიაში, იაპონიაში და ჩინეთში ბლომად ჰხმარობენ სოკოს, რომელიც ადგილობრივ მოდის ან და სხვაგნით შეაქვთ. მაგალითად, 1874 წ. ჩინეთში შეიტანეს სამი ათასი ფუთი სოკო. ჩვენშიაც, რაც გინდა ღარიბი და საწყალი ოჯახი იყვეს, მაინც სცდილობს თავისს სუფრის განსხვაფერავებას. რუსეთში გლეხ-კაცობა ზაფხულობით მრავლადა ჰკრებს სოკოს და ზამთრისთვის ინახავს. მარხვის დროს ხომ მაინც სოკო განსაკუთრებულს საჭმელს შეადგენს. სოკო ძალიან მასაზრდოვებელია, იგი ამ მხრივ ბევრად სჯობს მუხუდოს, ცერცვს და არ ჩამოუვარდება თითქმის ხორცსაც. ზოგს ქვეყანაში თუმცა მოდის სოკო, მაგრამ ხალხმა არ იცის მისი მოხმარება, მაგალ. შვეციასა და ნორვეგიაში მოუსავლობის დროს ფქვილს ხის ნახერხს ურევენ ხოლმე და სოკოს კი საქონელსა და ჰიებს უტოვებენ. პარიზის მიდამოებში იმდენი მოჰყავთ სოკო, რომ ყოველ დღეობით პარიზის ბაზარში ათას ფუთობით გამოაქვთ გასასყიდათ. გირვანქას 16—25 კ. იყიდება, ზოგს თვით ქალაქში ხმარობენ, ზოგი კი ამერიკაში მიაქვთ გასასყიდათ, 1877 წ. 5 მილიონზედ მეტისა გაიყიდა ამერიკაში პარიზიდამ გატანილი სოკო. რასაკვირველია, ამგვარადვე შეგვიძლიან ჩვენც გავგზავნოთ, თუ ვინიცობაა ჩვენც მოვკიდეთ ხელი სოკოს მოყვანას.

ერთის სიტყვით, ხალხის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს საჭმლის სხვა-და-სხვა ფერობას. მიუხედავათ ამისა, მეცნიერებას ჯერ კიდევ არა აქვსთ გადაწყვეტით ნაჩვენები, თუ რომელს საჭმელს რა სარგებლობა მოაქვს და ხალხიც ძალაუნებურად ჩვეულებებით ხელმძღვანელობს ყოველს ამგვარს შემთხვევაში და ბრმად მისდევს მას, რასაც ათას წლობით ხალხში ფეხი მოუკიდნია. რამდენსაც მეტს მუშაობს კაცი, იმდენად უფრო გრძნობს შიმშილს და ღონე ელევა; ამიტომ საჭიროა კაცმა ნოყიერის საჭმლით აღადგინოს დაკარგული ძალა. მეცნიერებმა ახლა დაბეჯითებით იციან, რომ ყველა საჭმელი ჯერ სისხლად იქცევა, მერე მთელს ტანში წავაწამოვა და ამ გვარად მოედება ნერვებს, ტვინს, ძვლებს და სხვა. მაგრამ საჭირო ვიცოდეთ, რომელი საზრდო რამდენს ჰმატებს ტანს და რამდენად სასარგებლოა. ამაზედ მეცნიერებს ჯერ ბევრი არაფერი გამოუკვლევიათ. ყველაზედ უფრო მეტ მასაზრდოებელ საჭმელად რძე ითვლება. თუმცა ეს ესეა, მაგრამ ერთგვარს საჭმელს, რაც გინდა მასაზრდოებელი იყვეს, მაინც არ ძალუძს დააკმაყოფილოს კაცის მოთხოვნილება, თუ სხვა საჭმელიც არ იხმარა. ბუნების ამ მოთხოვნილებას დიდი ხანია მიაგნო ხალხის გამოცდილებამ მეცნიერების დაუხმარებლივ და ამიტოც არის, რომ კარტოფილს, რომელიც ბევრს კრახმალს შეიცავს და ძალიან ცოტა მასაზრდოვებელს, ამიტომ ხორცით, ან თევზით, ან რძით ჰხმარობენ, რომელნიც სწორედ იმას შეიცავენ, რაც რძეს აკლია. მუხუდო ძალიან მასაზრდოებლად ითვლება, მაგრამ მას სიმსუქნე არა აქვს; აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ ყოველთვის რაიმე სისუქნით ჰხარშვენ ხოლმე. პურიც არ შეიცავს სიმსუქნეს, მაგრამ როცა კარაქს წაუსმენ, ძალიან გემრიელი და ნოყიერი ხდება.

ამგვარად, თითონ ბუნებამ ასწავლა კაცს, რომ საჭიროა მუდმივ საჭმლის გამოცვლა და ხორცთან, რძესთან და თევზთან ერთად აუცილებლად საჭიროა მცენარეული, რადგან უამისოდ კაცი ვერ გადარჩება და გზას ვერ აუქცევს ყველა იმ სნეუ-

⁂ **დ. ძველი-სენაკი.** (სამეგრელო) მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსება. ამ ჟამად მეაბრეშუმეობას ძალიან მისდევენ მთელს სენაკის მაზრაში, მაგრამ მთელი წარმოება მკვიდრთა ჩარჩების ხელშია ჩავარდნილი. ეს გარემოება ძალიან აფერხებს მეურნეობის ამ დარგის აღორძინებას მთელს მაზრაში. თავ. გიორგი ჩიჩუას განუზრახავს შეადგინოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექმნება მწარმოებელნი ჩარჩების ხელიდან დაიხსნას და ბაზარი გაუჩინოს აქაურს ნაწარმოებს, მიაწოდოს მწარმოებელთ კარგის ჯიშის თესლი, შემოიღოს გაუმჯობესებულის სისტემის სახვევის მანქანები, დააარსოს საქსოვი ქარხანა და სხვა. თ. ჩიჩუა აპირებს ეს სიმპატიური ამხანაგობა ამ გაზაფხულშივე შეადგინოს. საწევრო ფული თუმანი უნდა იქმნეს. წესდებას მომავალის ამხანაგობისას მერე გავაცნობთ მკითხველებს. ჩვენ იმედი გვაქვს, პატივცემული თ. გ. ჩიჩუა, როგორც მცოდნე მეაბრეშუმეობისა, კარგად გაუძღვება თავის მიერ დაწყებულს საქმესა.

⁂ **ქ. ქუთაისი.** ღვინის სიძვირე. გაზეთ „მეურნეს“ სიტყვით, ქუთაისში ღვინო ძალიან გაძვირებულა. ყოვლად უვარგისი და წყალ-ნარევი ღვინო ბოთლი აბაზად იყიდება, თურმე, ღვინის გაძვირების მიზეზი — ფილოქსერაა, რომელმაც თითქმის გაანადგურა ქუთაისის გუბერნიის ვენახები. ვაჭრები ღვინოებს ბესარაბიიდან ეზიდებიან იმ დროს, როცა, წინედ, ქუთაისის გუბერნიიდან გაჰქონდათ ღვინოები. ვაჭრები ამ მოტანილს ღვინოს ათას ნაირის წამლითა შხამავენ და მყიდველთ განსაცდელში აგდებენ. გაზეთის აზრით, ამ სამწუხარო მოვლენის ასაცილებლად, სასურველია, ქუთაისის ქალაქის საბჭომ საჭმელ-სასმელის ქიმიურად გამოსაკვლევი ლაბორატორია დააარსოს და ყალბ სანოვაგის გამყიდველნი პასუხის გებაში მისცესო.

⁂ **სოფ. ვაქირი.** ეს ორი წელიწადია ძრიელ გახშირდა აქ ციებცხელებით ავადმყოფობა. ბევრნიც ისეთი ავადმყოფობით არიან ავად, რომელიც ინფულენციას წააგავს. ნამეტნავათ წელს ძალიან დააზარალა ხალხი ამ ავადმყოფობამ. აქაური მკვიდრნი აბრალებენ ვითომ იმ გარემოებას, რომ ზამთარი ზამთარს არ ჰგავს და ზაფხული ზაფხულსაო. თუ საქმეს ჩაუკვირდებით, აქ კი სულ სხვა მიზეზებია, თუმცა იმათი ახსნაც ბევრათ მართალია. ავადმყოფობამ ორი სამი წელიწადია იჩინა თავი და გაძრიელდა შარშან და წელს. ხალხი ზარალობს ერთ ნაწილში სოფლისა, ანუ ერთ მღვდლის სამრევლოში. სწორეთ ამავე ხნის განმავლობაში გამოიყვანეს ანტონას წყალი და შარშან-კი გამოიყვანეს მეორე წყარო, ესრეთ წოდებული წყაროს წყარო, ამ წყაროების წყალს ხმარობენ ეს დაზარალებული ნაწილი სოფლისა. ორივე ამ წყაროების ახლო მდებარეობენ სოფლის სასაფლაოები. პირველთან კოპალისა და მეორესთან წმინდა ნათლისმცემლისა. ეს წყაროები თუ სულ მთლათ სასაფლაოებიდგან არ გამომდინარეობენ, ის კი ჭეშმარიტია, რომ მათში ერთვის სასაფლაოებიდგან გამონაჟონი წყარო. ავადმყოფობის მიზეზიც ეს გარემოება გახლავთ, რომლის დასამტკიცებელი უტყუარი საბუთი არის ავადმყოფობის გახშირება მარტო იმ ხალხში, რომელნიც ამ წყაროების წყალსა სმენ სხვა მთელი სოფელი მთლათ ორი სამრევლო კი სალათ და უავადმყოფოთ არის. ეს აზრი არა ერთხელ წარმოგვითქვამს სოფელში, მაგრამ ხალხი ურწმუნო თომა არის და, რადგან ჩვენც იშვიათათ ვხვდებით სოფელს, რიგიანათ ყველას ვერ ჩაგაგონებთ. მხოლოდ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამ სოფელში სამი ახალგაზდა კურს-დამთავრებული მღვდელია და ეს დალოცვილნი მოძღვარნი არა სცდილობენ ჩააგონონ ხალხს და უბედურება თავიდგან აიცილონ. მივაქცევთ ყურადღებას პატივცემულ ბოქაულისას და ვისურვებთ, რომ თავს იდოს, თავის ყურადღების ღირსად გახადოს ეს გარემოება, მოიწვიონ მაზრის ექიმი, შეამოწმებინონ და თუ ჩვენდამი აღნიშნული ავადმყოფობის მიზეზი გამართლდა, მაშინ კანონის ძალით აუკრძალონ ამ წყაროების წყლის ხმარება.

შინაარსი ამან შეთხზა. ბოგემიის დედა ქალაქ პრაგაში ჰმარხავდნენ დიდის ამბით ერთს ახალგაზდა კაცს. მუზიკა უკრავდა ჩინებულს და გულსაკლავს მარშს. კუბოს დიდძალი ხალხი მოსდევდა და მათში ექიმიც, რომელიც სწამლობდა მიცვალებულს. ერთმა ჰკითხა მეორეს:

— ნეტა ვისი თხზულებაა ეს ჩინებული მარში?

— მუზიკა მარშისა რა მოგახსენოთ ვინ შეთხზა, და შინაარსი კი-აი ამანაო და მიუთითა ექიმზედ.

—

შენ იცი?

— სპირიდონ, არ იცი, სად არის კრიტი?

— რავა არ იცი მე კაი კაცო, ყველა გაზეთებს ახლა მაგი გახდომიათ სალაპარაკოთ.

— არ ვიცი და რა წყალში ჩავვარდე.

— მაიცა... ჰო, არც მე ვიცი ხეირიანად.

სასამართლოს მატიანე.

ჩვენ განვიზრახეთ ამას იქით აღვნიშნოთ ხოლმე კულტურული ვაჟკაცობა ჩვენის მეზობლებისა და, რაც უფრო სასაცილო იქნება, მასალას იმათი გაზეთებიდამვე ავიღე-ბთ. 11 მარტსაო, სწერს გაზეთი „ტფილისის ლისტოკი“, სასამართლო პალატაში გაასამართლეს სარქის მირაქიანცი, ახალგაზდა კაცი, 25 წლისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ყალბის ფულის მოჭრა. სასამართლოში დამტკიცდა მირაქიანცის ბრალდება და მიუსაჯეს რვა წლით კატორღა.

შემთხვევის ბრალია, რომ მირაქიანცი დაიჭირეს, რომ არ დაეჭირათ, ხვალ კულტურული ტუზი შეიქმნებოდა.

თელავის ქალაქის თვით მმართველობა.

(შემდეგი, იხ. „ცნ. ფურც.“ № 141.)

—

ბ. თათუზოვი. რას დავკარგავთ, რომ ახლავე უარი უთხრათ. თუ ჩვენს განაჩენს არ შეიწყნარებს უმაღლესი მთავრობა, დრო კიდევ გვექნება მივანდოთ რომელსამე ვექილს. ჩემის აზრით, სჯობია უარი განვუცხადოთ და არც შევიტანოთ ხარჯთა აღრიცხვაში. უარი ასე დავასაბუთოთ: ჯერ ერთი რომ საგუბერნიო გამგეობას არა ჰქონდა უფლება ქ. თელავის მაგიერ სხვადა-სხვა ვალდებულების მიღებისა, რადგანაც ამაზედ მოქალაქეთა ურილობას თავის განაჩენში არაფერი არ უთქვამს და თუ საგუბერნიო გამგეობამ თვისი უფლება აშენა იმ რამდენისამე მოქალაქის სიტყვიერ თხოვნაზედ, განა ეს საკმარისი იყო მთელის ქალაქის ერთი კერძო კაცისათვის 25 წ. დასამონავებლად! მეორე—მართალია, საგუბერნიო გამგეობამ ნება-რთვა მიიღო მთავარმართებლიდგან, მაგრამ პროექტი პირობის წერილისა უნდა იმავე ნება-დამრთველისათვის წარედგინა დასამტკიცებლად. მესამე—ორივე შემთხვევაში საგუბერნიო გამგეობა კანონის ფარგალს ვერ გასცდებოდა. კანონით სახლის ქირავნობის ვადა 12 წ. და იმან კი 25 წ. იქირავა. მეოთხე—საგუბერნიო გამგეობამ შეასრულა თვისი მისია, როცა სახლი აშენდა უნდა სამაზრო გამგეობისთვის მიეწერა, რომ კონტრაქტით შეჰკვროდნენ სახლის პატრონს და დღესაც არავითარი კონტრაქტი არ უჭირავს არცერთს მხარეს. მეხუთე— პროექტში მოხსენებულია, რომ შეკეთება სახლის პატრონის მოვალეობაა, როცა 1890 წ. სამაზრო გამგეობამ მოსთხოვა ამ მოვალეობის შესრულება თ-დ ზოლოტაშვილს, იმან უარი განაცხადა. ამით იმან უკვე დაარღვია ის პროექტი. ამასთან ვიშუამდგომლოთ კონტრაქტის დარღვევაზედ და მოვითხოვოთ თ-დ ზოლოტაშვილისაგან წაღებული 1500 მან., რაც იმას არ ერგებოდა, უკანვე დაგვიბრუნდეს. (5 წამით შესწყდა კრება) ბ. თათუზოვისაგან დასაბუთებულს აზრს დასთანხმდა კრება და განაჩენი მის თანახმად დაადგინა.

ბ. თათუზოვმა მოახსენა კრებას, რომ მთავარი შემოსავალი ქალაქისა სახლების გადასახადიდამ შესდგება. სახლების გადასახადის საქმე კარგად არ არის დღეს, რადგანაც დიდი ხანია რაც ეს გადასახადი დაუდგიათ. მას აქეთ მრავალი შენობა გაკეთებულა და გადასახადი არ აძევთ. ამიტომ საჭიროა, ხელ-ახლად მოვახდინოთ დაფასება, რაც შემოსავალს გააორკეცებს, მაგრამ ეს საქმე ისეთი საქმეა, რომელიც დიდ დროს მოითხოვს და ჩვენ კი ქალაქის საქმეს ვერ გავუძღვებით, თუ სახლების გადასახადი დროზედ არ შემოვიდა. ამისათვის იძულებულნი ვართ ამ მდგომარე წელიწადსაც ის გადავახდევინოთ სახლის პატრონებს, რაც შარშან გადაუხდიათ. უკანასკნელი ვადა უნდა დაინიშნოს 1 ივნისს, რომ ვინც არ შემოიტანს, იმისათვის ექვსი თვის ვადა კიდევ გვქონდეს, რომლის შემდეგ შეიძლება თანახმად 130 მუხ. ძალა დავატანოთ.

ბ. ყულიჯანოვი. 1 ივნისი შეუფერებელია. ოქტომბერი უნდა დავნიშნოთ, რადგანაც მაშინ აქვთ მოქალაქეთ შემოსავალი.

ბ. ცისკარაშვილი. მე ვეთანხმები ბ. ყულიჯანოვს. შემოდგომა კარგი დროა, მაშინ მოქალაქეთ მოსავალი

ლებათ, რომელნიც აუცილებლივ უკან მისდევს ეროვგვარის საჭმლის ხმარებას. მაგრამ ყველა მცენარეული კი არ არის კარგი და მარგებელი. სხვა-და-სხვა გვარი პური, რასაკვირველია, ძალიან სასარგებლოა კაცისათვის, მაგრამ მარტო ის საკმარისი არ არის ჯანმრთელობისათვის, საჭიროა გამრავალ-ფეროვნება თვით მცენარეულის საჭმელისა, ბოსტნეულობის და ბაღეულობის მოსავლით. საზოგადოდ, ამბობენ, რომ საჭმლის სარგებლობა იმითი გაიზომება, თუ რამდენად ინახავს კაცის ძალასა და ჯანმრთელობას. მაგრამ ასეთი შეხედულობა ყოველს ნიადაგს მოკლებულია. ერთი თანამედროვე სახელოვანი მეცნიერი ამბობს, რომ საჭმლის შეცვლამ ერთი გარეული კაპასი კატა შინაურ, მშვიდ, ღრუტუნა კატად გადაჰქმნაო. მოგზაურნი, რომელთაც დიდხანს უცხოვრიათ ველურ ხალხში, ამბობენ, რომ კაცი მით უკან-უკან მიდის, რამდენადაც მისი საჭმელი გარეულ ცხოველებისას უახლოვდებაო და ინდოელი იქნობამდის არ სტოვებს თავისს ველურ თვისებებს და ხასიათს, სანამ თავს არ ანებებს უმი ხორცის ჭამას. ცხოვრება და ისტორია ყველა ხალხისა ჩქარის ნაბიჯით იცვლება და წინ მიდის, როდესაც იგი ხელს ჰკიდებს მეურნეობას და მცენარეთა შემუშავებას. სუბუქი და ნაზი საჭმელი საჩქაროთ სცვლის კაცთა ველურს და დაუდევარს ხასიათს და მშვიდად და წყნარად ჰქმნის.

ის გარემოება, რა მშვიდი და წყნარი ცხოველები მცენარეულით ირჩენენ თავს, თითქმის ზედ მიწევნით გამეორდა კაცზედ.

ზემო ხსენებული მაგალითები აშკარად გვიჩვენებენ, თუ რა ზოგადი გავლენა აქვს საჭმელს კაცის ჯანზედ, ზნეზედ, ყოფა-ქცევაზედ და აზროვნება—სჯაზედ. თუ რომ ჩვენს ტანში საჭმელი სისხლად იქცევა და მერე მთელს ტანს დაუვლის, ტვინს, ძვლებს, ნერვებს, მაშასადამე აშკარაა, რომ საჭმელს კაცის სულიერს ცხოვრებასა და ჭკუის განვითარებაზედ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოდ ყველგან დამტკიცდა, რომ ბოსტნეულობას და ბაღოსნობას, არამც თუ დიდი სარგებლობა მოაქვს, ამასთანავე ავრცელებს ხალხში წეს-რიგს, მხნეობას, თავდაჭერილობას, კმაყოფილებას და მუშაობას. მუშა კაცს ისე ახალისებს და აყვავილებს თავის ბოსტანში მუშაობა, რომ ყოველ თავისუფალ დროს ის მხიარულად ატარებს ბაღსა და ბოსტანში, მის მაგიერ რომ სამიკიტნოებში ილოთოს ან და ტყუილად ნაცარქექობაში გაატაროს დრო.

არ გვგონია, რომ სადმე ისეთი მომუშავე, გამრჯე და გაჭირვების ამტანი ხალხი არსებობდეს, როგორიც შოტლანდიელები არიან. და აი ეს ხალხიც-კი მუდამ ბოსტნეულობას და საზოგადოდ მცენარეულობას ეწყობა და მითი ირჩენს თავს, და არამც თუ ისინი, მათი მეზობელი მთის მცხოვრებელნიც, რომელნიც ძველად მარრტო ნადირობით ირჩენდნენ თავს, ეხლა დიდის გულ მოდგინებით მისდევენ ბოსტნეულობას, რა შეიგნეს მისი სარგებლობა და საჭიროება. საფრანგეთში, მაგალითად, მწვანილეულობა ძალიან ხმარებაშია და ყოველ წლობით ეს მოთხოვნილება თანდათან იზრდება. მაგალითად, პარიზში 1856 წ. 2 მილიონ მანათზედ მეტის გაიყიდა მწვანილეულობა; ოცის წლის შემდეგ ე. ი. 1876 წ. ეს ციფრა 13 მილ. მან. გარდიქცა. დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ ხალხის კეთილდღეობა და ნივთიერი გაუკეთესება, საკვირვლად წინ მიდიოდა, თუ იგი მუყაითად შეუდგებოდა რამე ბოსტნეულის მოყვანა-გავრცელებას. მაგალითად, ნორვეგიაში გამორკვეულია და შემჩნეული, რომ სურავანდით ავადმყოფობამ შესამჩნევად იკლო, რა გავრცელდა ხალხში კარტოფილი. ამას გარდა, საშინლადა ჰკლებულობს მკვდართა რიცხვი, რადგანაც საბაღოსნო და საბოსტნო მცენარეობა დიდათ აცილებს ხალხს გაჭირვებას, რომელიც ეწვევა ხოლმე მას შიმშილის დროს, რადგანაც იშვიათად ჰხდება, რომ ტაროსი ერთგვარად იყვეს მავნებელი ყველა მცენარეულისათვის, როდესაც ერთი სრულიად არ მოდის, მეორე, პირიქით, კარგს მოსავალს იძლევა.

ზევით ვსთქვით, რომ ხვნა-თესვა ბაღოსნობისაგან წარმოსდგაო და ბაღოსნობა დედაა მიწათ-მოქმედებისაო; მაგრამ, ლაპარაკი არ უნდა, რომ შემდეგში ბაღოსნობას უფრო დიდი გავლენა ექმნება ხვნა-თესვაზედ. თავის პატარა ბოსტანში გლეხი აშკარადა ჰხედავს, რომ მის მუყაითად მუშაობას, მორწყვა-გამარგვლას დიდი სარგებლობა მოაქვს და ეს სარგებლობა მით უფრო მატულობს, რამდენადაც მეტს სიმხნევეს იჩენს და დროს ახმარებს. მაშინ იგრძნობს იგი, რომ მინდვრის ნახნავი მიწები აგრეთვე დიდს სარგებლობას მოუტანენ, თუ მათს შემუშავებასაც აგრეთვე მუყაითად მოჰკიდა ხელი. ჩვენში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც გლეხკაცს ძალიან ცოტა სახნავი მიწა აქვს; რომ ამ პატარა მიწის ნაჭრით შეეძლოს კაცს ცხოვრება, საჭიროა იცოდეს მისი კეთილად და კარგად მოხმარება. ამას გარდა, ჩვენი გლეხკაცობა ჯერ ისევ ძველის იარაღით მუშაობს მიწას, რომელთაც თავისი დრო მოუჭამიათ და ახლა სრულიად გამოუსადეგარნი არიან, რის გამოც რის ვაივაგლახით და გაჭირვებით-ღა ძლივს სცხოვრობს. ხალხი კი, რაც დრო გადის, მით უფრო მრავლდება და მიწაც, რასაკვირველია, პატარ-პატარა ნაწილებად იყოფა; ამასთანავე მატულობენ ცხოვრების მოთხოვნილებანი: ის, რაც გუშინ სრულიად საკმარისი იყო კაცის არსებობისათვის, დღეს ოდნავაც საკმარისი არ არის.

ხეხილის სარგებლობას ხომ კაცი ვერ მოსთვლის. გარდა ამისა, რომ მისი გაყიდვით კაცი კარგა ფულებს იგებ, სხვა ბევრი რამ სარგებლობის მოტანაც შეუძლიან. ხილისაგან გაკეთებული სხვა-და-სხვა სასმელები მეტად მარგებელია კაცისათვის, მას შეუძლიან გადაარჩინოს გლეხი ყველა იმ უბედურებათაგან, რაც მაგარი სასმელების ხმარებას მოსდევს ხოლმე. თუ კაცი მუყაითად შეუდგა მათს მომზადებას, იგი ხალხში დიდათ გავრცელდება და სავაჭრო ბაზარსაც ჩქარა მოიპოვებს. რაც შეეხება ყვავილების მოყვანას დიდრონი ქალაქების მახლობლად, იმათაც კარგი სარგებლობა მოაქვთ. ამის გარდა, ყვავილების მოვლა ამაღლებს და აფაქიზებს კაცის სულს და ულვიძებს სიყვარულს წეს-რიგობისადმი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოტანილი აქვთ და ადვილად გადისდიან. (აქ 10 წამით შესწყდა კრება).

ბ. თათუზოვი. მე სრული თანახმა ვიქნებოდი გალის გადატანაზედ, რომ შეიძლებოდეს ხარჯების გაძღოლა. თქვენ კარგად იცით, რომ თუ უკანასკნელი ვადა ოკტომბერში იქნება, არავინ არ შემოიტანს, თვით მე არ შემოვიტან და აბა რით უნდა გავუძღვეთ ხარჯსა?

ბ. ტერ-სარქისოვი. აგვისტოს 1-ს დავნიშნოთ ვადა.

ბ. ვართაზაროვი. 1 მკათათვე იყოს.

კრებამ მიიღო 1 მკათათვე უკანასკნელ ვადათ.

ბ. თათუზოვმა მოახსენა კრებას: ადგილობრივ მხედრობის უფროსს მოუთხოვნია, რომ ქალაქმა ინალდოს სახლი მისაღებად გენერლებისა, შტაბ და ობერ ოფიცრებისა, როცა ისინი სამსახურის გამო მოდიან თელავში, პირველს სამს დღეს ქალაქმა უნდა მისცეს ბინა. ბ. გუბერნატორს ამ მოთხოვნილებისათვის წარუწერია, რომ ეს საგანი პირველსავე კრებაზედ იყოს განხილული.

ბ. ცისკარაშვილი. წინათ როგორ იქცეოდა ქალაქი ამისთანა შემთხვევაში?

დეპუტატებმა ნამყოფნი ამბობენ, რომ წინათ მოსულნი სასტუმროში დგებოდნენ და ჩვენ სასტუმროს პატრონს უსწორდებოდით. ხან თვითოზე ორი მანათი, ხან სამი იხარჯებოდა.

ბ. თათუზოვი. საჯობია ასე დავადგინოთ: რადგანაც ქალაქს არა აქვს საქალაქო შენობა, ამისათვის იგი სახლსკი ვერ მისცემს და ფულით დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. დღე-ღამეში გადაიხდის გენერლისათვის 4 მ., შტაბ-ოფიცრისათვის 3 მ. და ობერ-ოფიცრისთვის 2 მ.

კრებამ მიიღო ეს წინადადება.

შემდეგ კიდევ ორი საქმე განიხილა კრებამ: ერთი სახარჯო საბჭოს წევრების და მოადგილების ამორჩევაზედ და აირჩია კიდეც, მეორე მოხუცი იაკობ სტეფანოვის ხარჯიდამ განთავისუფლებაზედ. უკანასკნელ საქმეზედ მოხსენება სუსტი იყო და კრებამ მოითხოვა ცნობების შეკრება.

ნადიკვრელი.

(დასასრული იქნება)

საღამოს დეპეშა

13 მარტი.

პეტერბურგი. სამშაბათს, 11 მარტს, წავიდნენ პეტერბურგიდგან შავის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად დაარსებულ კამისიის რწმუნებულნი: სენატორი ლიხაჩევი—ნიჟნი-ნოვგოროდში, გენერალ-ლეიტენანტი ვასმუნდტი—ბათუმში. მათთან ერთად წავიდნენ ექიმები, აფიცრები, სამოქალაქო მოხელენი და ქვეითა ჯარის კაცნი. შავის ჭირის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად დაარსებულ კამისიის თავმჯდომარის ბრძანებით მომზადებულ იქმნა შავი ჭირის საწინააღმდეგო წამალი—შედედებული სისხლი. ყველაზედ მეტი შედედებული სისხლი გაეგზავნა პროფესორს ვისოკოვიჩს ბომბეიში; თეოდოსიის საკარანტინო ოლქის უფროსს გიუბნერს, კამისიის წევრს თავადს შეხოვსკის, ბათუმის კარანტინის დირექტორს, თურქისტანის გენერალ-გუბერნატორს ბარონ ვრევსკის და იმიერ-კასპის ოლქის გენერალ-ლეიტენანტს კუროპატკინს ყველას 10 შუშა შედედებული სისხლი.

პარიჟი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სახსოვრად მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა მიბრძანებისა საფრანგეთში, გაუგზავნია რუსეთის მთავარ-ელჩს კარცოვს სევრის ხელოვნების ქანდაკება, რომელიც წარმოადგენს დედის სიყვარულსა.

ლონდონი. „Standard“-ს დეპეშით სწერენ კანეიდგან: „ადმირალთა მიერ გამოცხადებულ პროკლამაციის ძალით საბერძნეთის გემებს, რომლებიც იმ ადგილას აღმოჩნდებიან, სადაც ალყა არის შემორტყმული, ისე მოექცევიან, ვითარცა მტრის გემებს, რომელთაც უცხოელთა გემები ზარბაზნებს დაუშენენ, თუ ვინიცობაა ზარბაზნის სროლის მანძილზედ გავიდნენ.

კონსტანტინეპოლი. 7 მარტს, ტოკატში მომხდარ ბრძოლის დროს ასი სომეხი მოჰკლეს. ელჩებმა მიჰმართეს პორტას და სასტიკად მოსთხოვეს, რომ დამნაშავენი დაპატიმრებულ და დასჯილ იქმნენო. ტოკატში იგზავნება კომისია საქმის გამოსაძიებლად.

პარიჟი. პალატა შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც შეეხება ჯარის სარდლობის განწესრიგებას.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში სად. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში სად. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

განცხადებანი

დროებით ისყიდება ვარშავის
ყრუ-მუნჯთა ხელ-საქმობა
მშვენივრად და შნოიანად გაკეთებული ხისაგან სხვა-და-სხვა სურათების ჩარჩოები, სამელნეები, ‚თეფშები, საფერფლეები და სხვა მრავალი ოჯახში საჭირო ნივთი.
ადრე'ი: ტფილისი, კორონცოვის ქუჩაზე, „ვენეციას ნომრებში“ № 6.
Кустарныя издѣлія Варшавскихъ Глухо-нѣмыхъ; изящныя вещи справится въ номерахъ „Венеція“, по Воронцовск. улицѣ. (3—1)

განსაკუთრებულ
საათების
სახელოსნო
ზეგლიარ
ავაკიანცისა
სასთავად აზნაურთ ქარვასლა.
ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.
ზეგლარ ავაკიანცი.
იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა
სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!
(30—10)

სამკერვალო სკოლა
ქალთა ამხანაგობისა
მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.
ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა № 3.
(4—4)

აზიური მაღაზია
ასლან ავალიანისა
(გოლოვინის პროსპექტი, შიოევის სახლში, ტფილისის კრუჟოკის ქვეშ)
მუდამ ჟამს მაქვს გასასყიდათ მრავალი სხვა-და-სხვა ღირსების შალები: იმერული, მეგრული, ლიგორული, ლეკური და სხვ. აგრეთვე თივთიკები; ქამარ-ხანჯალი, მასრები და სხვა იარაღები და მოწყობილობა.
იქვე მაქვს მშვენივრად გამართული სამკერვალო და ფეხსაცმელთა სახელოსნო.
ფასი ყველაფერზე ზომიერია. შეკვეთას ვასრულებ სწრაფად და სუფთად.
!!!რკინის გზაზე მოსამსახურეთა საყურადღებოდ!!!
მაქვს პატივი ვაუწყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა და მოხელეთა, რომ ჩემს მაღაზიაში მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველთვის ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით
◆ ჩერქეზული ტანისამოსი თავის მოწყობილობით ◆
მსურველთ უნდა წარმოადგინონ რკინის გზის „დამზოგველ საზოგადოების“ მოწმობა და მაშინ იმათ დაეთმობა ღირებულ ფასიდან 10%, ანუ მანეთზე ორი შაური.
პატივისცემით ასლან ავალიანი.
Азіятскій магазинъ и мастерская А. Аваліани
Тифлисъ. Головинскій пр. д. Шіоева, подъ Тиф. Кружкомъ.
(15—14)

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.
КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній,**—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.
Плата за весь курсъ 40 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (ჩ.)

XIII годъ изданія. ПРОДАЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1897 г. XIII годъ изданія
ВОКРУГЪ СВѢТА на еженедѣльный иллюстрированный журналъ путешествій и приключеній на сушѣ и на морѣ.
въ теченіе года подписчики получатъ
50 еженедѣльныхъ иллюстрирован. №№, содержаніе которыхъ составляютъ романы, повѣсти, путешествія, популярно-научныя статіи и многочисленные рисунки.
БЕЗПЛАТНО
12 томовъ, иллюстрированныхъ знамен. художн.: Эмилемъ Баяромъ, Невилемъ, Ріу и другими, и содержащихъ въ себѣ собраніе сочиненій
ЖЮЛЯ ВЕРНА.
Собраніе это будетъ состоять изъ 12 томовъ большого формата, и въ него войдутъ восемь слѣдующихъ романовъ, переведенныхъ съ полныхъ французскихъ изданій безъ всякихъ измѣненій и сокращеній:
1. „80,000 верстъ подъ водою“ 2 т.
2. „Дѣти капитана Гранта“ 2 тома.
3. „Таинственный островъ“ 3 тома.
4. „Воздушный корабль“.
5. „Зеленый лучъ“.
6. „Вокругъ свѣта въ 80 дней.
7. „Вверхъ дномъ“.
8. Путешеств. къ центру земли.
Кромѣ того подписчики, при доплатѣ 1 р., получатъ → **2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ,** состоящія изъ 2-хъ художествен. картинъ (олеографій).
Картины, размѣромъ 20¼ вер. въ длину и 13½ вер. въ ширину, исполнены въ артистическомъ заведеніи бр. Кауфманъ въ Берлинѣ съ оригиналовъ художника Кондратенко.
1) **Южный берегъ Крыма** съ видомъ Ялты.
2) **Видъ Днѣпра у Кіева.**
Оригиналы этихъ картинъ спеціально заказаны для премій 1897 года.
Подписная цѣна на журналъ остается прежняя.
НА ГОДЪ съ собран. соч. Жюля Верна съ доставкою и пересылкою **4 р.**
Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р., къ 1-му апрѣля и 1-му іюля по 1 р.—За премію—при послѣднемъ взносѣ.
АДРЕСЪ РЕДАКЦІИ: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.
Кромѣ того подписка принимается: во всѣхъ книжныхъ магазинахъ Москвы, Петербурга и другихъ городовъ Россіи.
Всѣ новые подписчики получатъ журналъ съ 1-го №.
Журналъ издается Высочайше утвержденнымъ Т-вомъ И. Д. Сытина.
(4—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Марта 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.